საქართველო
ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის
გამგეობა

G E O R G I A
Municipality Administration
of Lagodekhi

2700 ქ.ლაგოდეხი, 26 მაისის ქ. N25 ტელ.:(354) 22 30 20, ელ.ფოსტა:lag_gamgeoba@yahoo.com
26 Maisi str №25, Lagodekhi, 2700, Tel.:(354) 22 30 20


№ 406 „12" „04" 2012 წ.

საქართველოს კონკურენციისა და
სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს
თავმჯდომარეს
ბატონ ტატო ურჯუმელაშვილს

ბატონო ტატო

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N3 ბრძანების შესაბამისად გთხოვთ ჩვენს მიერ გამოცხადებულ N329 კონკურსს მიანიჭოთ სტატუსი - გამარჯვებული გამოვლენილია.

დანართი 8 ფურცელი.

პატივისცემით

გამგებელი: დიმიტრი ლოლაძე

ქალაქ ლაგოდეხის ცენტრალური სკვერის, გამგეობის წინამდებარე სკვერისა და 26 მაისის ქუჩის საპროექტო /სახარჯთაღრიცხვო/ მომსახურების შესყიდვის საკონკურსო კომისიის სხდომის

# ოქმი №4

2012 წლის 12 აპრილი

– ქ.ლაგოდეხი –

# ოქმი №4

ქალაქ ლაგოდეხის ცენტრალური სკვერის, გამგეობის წინამდებარე სკვერისა და 26 მაისის ქუჩის საპროექტო /სახარჯთაღრიცხვო/ მომსახურების შესყიდვის საკონკურსო კომისიის სხდომის

2012 წლის 12 აპრილი ქ. ლაგოდეხი

სხდომას თავმჯდომარეობდა

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის
გამგებლის მოადგილე,
კომისიის თავმჯდომარე: გიორგი წვერავა

კომისიის წევრები: იოსებ ტყემალაძე,
ილია ეგეტაშვილი, ივანე ყაველაშვილი
ვლადიმერ ალიბეგაშვილი, ბელა ბიწაძე

აპარატის წევრები: ვლადი მჭედლიძე, მანანა კურტანიძე,
ნინო ბატიაშვილი

დღის წესრიგი

1. ქალაქ ლაგოდეხის ცენტრალური სკვერის, გამგეობის წინამდებარე სკვერისა და 26 მაისის ქუჩის საპროექტო /სახარჯთაღრიცხვო/ მომსახურების შესყიდვაზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შესახებ.

მომხს. გიორგი წვერავა

<u>მოისმინეს:</u> ქალაქ ლაგოდეხის ცენტრალური სკვერის, გამგეობის წინამდებარე სკვერისა და 26 მაისის ქუჩის საპროექტო /სახარჯთაღრიცხვო/ მომსახურების შესყიდვის, საკონკურსი წინადადება გათვალისწინებული შენიშვნებით.

/გიორგი წვერავა/

მომხსენებელმა გიორგი წვერავამ კომისიის წევრებს აცნობა: - პრეტენდენტის მიერ დათქმულ ვადაში გათვალისწინებული იქნა ყველა ის შენიშვნა რომელიც დაფიქსირებულ იქნა კომისიის მიერ.

კონკურსანტმა თვითონ წარმოადგინა ქალაქ ლაგოდეხის ცენტრალური სკვერის, გამგეობის წინამდებარე სკვერისა და 26 მაისის ქუჩის არქიტექტორული პროექტი და შესაბამისი ხარჯთაღრიცხვა გათვალისწინებული შენიშვნებით.

აზრი გამოთქვეს: იოსებ ტყემალაძემ, ილია ეგეტაშვილმა, ივანე ყაველაშვილმა, ვლადიმერ ალიბეგაშვილმა, ბელა ბიწაძემ რომლებმაც მოიწონეს წარმოდგენილი პროექტი და შესაბამისი ხარჯთაღრიცხვა.

დაადგინეს: შ.პ.ს. ,,არტ-ავენიუ"-ს მიერ წარმოდგენილი ქალაქ ლაგოდეხის ცენტრალური სკვერის, გამგეობის წინამდებარე სკვერისა და 26 მაისის ქუჩის საპროექტო /სახარჯთაღრიცხვო/ მომსახურების შესყდვის, საკონკურსო წინადადება გათვალისწინებული შენიშვნებით მიჩნეულ იქნას გამარჯვებულად.

დაევალოს აპარატის წევრს ვლადი მჭედლიძეს შესაბამისი დოკუმენტაციის გაგზავნა კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ელექტრონულ მისამართზე - contest@procurement.gov.ge

კომისიის თავმჯდომარე: გიორგი წვერავა

კომისიის წევრები: იოსებ ტყემალაძე

ბელა ბიწაძე

ილია ეგეტაშვილი

ივანე ყაველაშვილი

ვლადიმერ ალიბეგაშვილი

ნუგზარ მაჭარაშვილი

avenue

მარჯანიშვილის №5, თბილისი, საქართველო ტელ: ( 995 32) 235 96 37; (995 32) 296 13 11

ელ-ფოსტა: info@artavenue.ge ; pr@artavenue.ge

---

12.04.2012

## ქ. ლაგოდეხის ცენტრალური ტერიტორიის რეაბილიტაცია

### განმარტებითი-სარეკომენდაციო ბარათი
### ქ. ლაგოდეხის გამგეობის შენიშვნების გათვალისწინებით

1. ლაგოდეხის გამგეობის მოთხოვნით პროექტიდან ამოღებული იქნება წითელი ხრეში, ამასთან, ჩვენი აზრით, ძველ პარკში ბელტის დადება არ არის მიზანშეწონილი, რადგან ნაძვნარის ქვეშ გაზონების შენარჩუნება დროთა განმავლობაში შეუძლებელი იქნება. ასევე ვითვალისწინებთ რა ლაგოდეხის გამგეობის მოთხოვნას წითელი ხრეშის ადგილას ჩაენაცვლება მიწა.

2. ჩვენი რეკომენდაციით, ცენტრალური პარკის ცარიელ ადგილას, ქვედა, სამხრეთ მხარეს ჩაემატება ერთი გაზონების თარგი.

3. ჩვენს მიერ პროექტში ჩადებული ზეთისხილის ხე, თქვენი მოთხოვნით, ამოღებული იქნა საბოლოო პროექტიდან და მის ადგილას გათვალისწინებულია იაპონური ნეკერჩხალი.

4. პროექტიდან ამოღებული დეტალების ხარჯზე შადრევანი მოპირკეთდება ფილებით და დაიგება დეკორატიული ფილებით მოპირკეთებული, სკვერის ცენტრისკენ მისასვლელი ბილიკები.

5. ჩვენი აზრით, ძველ სკვერში არ უნდა იქნეს განხორციელებული ცაცხვის ხეების დემონტაჟი და ვიძლევით რეკომენდაციას შენარჩუნებაზე.

6. ბამბუკის ხეები ამოღებულია პროექტიდან, გამგეობის მოთხოვნის შესაბამისად და ჩანაცვლდა "ირმის რქის" ბუჩქოვანი მცენარეებით.

7. გამგეობის მოთხოვნით, ძველი სკვერის გარშემო პროექტში ჩვენს მიერ გათვალისწინებული ახალი ბორდიურები ამოღებული იქნება პროექტიდან და გათვალისწინებული იქნება არსებული ბორდიურების გამოყენება (ნაწილობრივი, ან მთლიანი).

8. ძველ პარკში ჩვენს მიერ დაპროექტებული დასაჯდომების სიმრავლის გამო დამატებითი შეკრების გაკეთება, დამატებითი დასაჯდომების მოწყობის მიზნით არ მიგვაჩნია მიზანშეწონილად.

9. ამ ეტაპზე ჩვენს მიერ მოწოდებულია პროექტის მუშა ნახაზები.

10. ვინაიდან გამოცხადებული კონკურსის პირობები არ ითვალისწინებდა სახარჯთაღრიცხვო ნორმატიული შიფრით წარდგენას, ვითვალისწინებთ ლაგოდეხის გამგეობის მოთხოვნას – ხარჯთაღრიცხვა წარმოდგენილი იქნას ნორმატიული შიფრით, ამიტომ სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტების განსაზღვრას საფუძვლად უდევს საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების მინისტრის "საქართველოს ტერიტორიაზე ტიპიური ხელმძღვანელობის და სამშენებლო სფეროში 1992 წლამდე მოქმედი ნორმების, წესების და ტექნიკური

რეგულირების სხვა დოკუმენტაციის გამოყენების შესახებ" 2011 წლის 18 თებერვლის №1-1251 ბრძანება და "მშენებლობის შემფასებელთა კავშირი-"-ს მიერ საბაზრო პირობებისათვის მშენებლობის და სარემონტო სამუშაოების სახარჯთაღრიცხვო ღირებულების შედგენისათვის განმარტებები.

11. ჩვენს მიერ პროექტის წარდგენისას განმარტებით ბარათში აღწერილი იყო სანიაღვრე არხის მოწყობის ჩვენეული პროექტი, რაც ლაგოდეხის გამგეობის მოთხოვნით იქნა შეცვლილი: "26 მაისის ქუჩაზე მოეწყობა ღია ტიპის სანიაღვრე არხი, რომლის დაპროექტებისას ჩვენს მიერ საკონკურსო ხარჯთაღრიცხვის პირველ ვარიანტში, ქუჩის დატბორვის პროფილაქტიკის მიზნით, გათვალისწინებული იყო როგორც სანიაღვრე არხის სიღრმე – 48სმ და სიგანე – 42სმ (იხ. "აქსესუარების" დანართი), ასევე უსაფრთხოების ნორმები მანქანით და ფეხით მოსიარულეთათვის – არხებზე ლითონის ცხაურების მოწყობა, დამუშავებული და შეღებილი. მთლიანი კომპლექტაციით. ქ. ლაგოდეხის გამგეობის შენიშვნის გათვალისწინებით სანიაღვრე არხის ზომები და სახე შეცვლილია მოთხოვნისამებრ (იხ. სანიაღვრეს ახალი ნახაზის დანართი)".

შპს "არტ ავენიუ"-ს დირექტორი
გიორგი თანდაშვილი

avenue 404408725 GEORGIA TBILISI LTD. "ART AVENUE"